

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

- |                                     |   |                                      |
|-------------------------------------|---|--------------------------------------|
| 1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება | - | საერთაშორისო ურთიერთობები            |
| 2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი  | - | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| 3. პროგრამის მოცულობა               | - | 240 (ECTS) კრედიტი                   |
| 4. სწავლების ენა                    | - | ქართული                              |

5. პროგრამის კოორდინატორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - **ომარ არადაშელია**

## 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

## 7. პროგრამის მიზანი

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური არეალითა და გეოსტრატეგიული მდებარეობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლის მრავალფეროვანი და მრავალსახეობრივი სპექტრი აუცილებლად მოითხოვს შესწავლას, ანალიზსა და პრაქტიკაში გამოყენებას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად განახორციელოს თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზოგადკულტურული ფუნქცია ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებასა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის საქმეში. აღნიშნული პრობლემის მოგვარება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისა და მათზე ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების მორგების გარეშე შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაში *შრომის ბაზარზე* დიდი მოთხოვნილება არის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იქნება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი ცნებების, ძირითადი მიმართულებებისა და მახასიათებლების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესწავლაზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებში.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიცირებული სპეციალისტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, რომლებსაც ექნებათ მაღალხეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

კურსდამთავრებულს ეცოდინება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობისათვის აუცილებელი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. ზოგადი კომპეტენციების დაუფლების მიზნით პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო საფაკულტეტო და არჩევითი საგნები, ასევე თავისუფალი საგნები ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან. დარგობრივი კომპეტენციებიდან პროგრამა ითვალისწინებს

სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნების ბლოკებს. საბაკალავრო პროგრამა დასრულდება საბაკალავრო ნაშრომით, რომელიც შერჩეული იქნება დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა მოცემული სტრუქტურით სტუდენტებს დაეხმარება ჩამოუყალიბდეთ სისტემური და კვალიფიციური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებში, დასკვნის, ანალიზისა და სინთეზის უნარი, პრობლემის გადაჭრა/ გადაწყვეტილებების მიღების უნარი, კომუნიკაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა.

## 8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა გაცნობიერება** - აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, აქვს ცოდნა დარგის საერთო სტრუქტურისა და ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირის, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგის მთავარი პრინციპების, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და კონცეფციების, დარგში დანერგილი სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე სათანადო ეთიკური ნორმების შესახებ. დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში კურსდამთავრებულს აქვს ზოგადი ცოდნა შემდეგ საკითხებში: საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, საერთაშორისო ურთიერთობები ახალ და უახლეს დროში, დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია და პრაქტიკა, თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციები, ნაციონალიზმის ისტორია და თეორია, თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტები და ა. შ.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი სხვა გამორჩეული მეთოდის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია პოლიტიკური ტექსტის ინფორმაციის სახით მიწოდება. იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და შესაბამისად აქვს ნებისმიერი პოლიტიკური ურთიერთობების ამ თეორიებზე პრაქტიკული მისადაგების უნარი. ახალი და უახლოესი დროის საერთაშორისო ურთიერთობებში პარალელების მოძიებისა და ანალიზისა და სინთეზის მეთოდით შედეგზე ორიენტირება. მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით.

- **დასკვნის უნარი** - შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. აქვს არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი დისკუსიების, გუნდური ვორკშოპების, არგუმენტირებული ესსეს, ასევე საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში. შეძენილი აქვს ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, რომელიც დაფუძნებულია აღნიშნული სპეციალობის როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციის ცოდნაზე.
- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; აქვს აკადემიური ტექსტების თხრობისა და კომუნიკაციის უნარი. საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ცნებებისა და ტერმინების ქართულ და უცხო ენებზე გადმოცემის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კერძოდ: საერთაშორისო ურთიერთობებისათვის შესაფერისი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების: რეფერატების, ესსეების და ა.შ. წერილობითი მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია როგორც მშობლიურ ენაზე, ასევე ერთ-ერთ უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე. საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი იდეებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; მათი გადაცემა ქართულ და უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე.
- **სწავლის უნარი** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებების დადგენა. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში დარგობრივი კვლევების საფუძველზე მიღებული ახალი მეთოდების, მეცნიერული მიდგომებისა და სიახლეების შესწავლის უნარი.
- **ღირებულებები** - ჩამოყალიბებული აქვს სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა; შეუძლია ამ ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება. მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. აქვს სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ღირებულებებისა და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა.

## 9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათემის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი</b>														
<b>უცხო ენა - 18 კრედიტი</b>						<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>						
<b>ა)</b>	<b>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</b> <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	<b>ინგლისური ენა I (Elementary A1)</b>	ENGL B 001	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<b>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</b>	ENGL B 002	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 001
3.	<b>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</b>	ENGL B 003	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 002
<b>ბ)</b>	<b>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</b> <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	<b>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</b>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<b>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</b>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<b>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</b>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	<b>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (საერთაშორისო ურთიერთობები)</b>	ENGL B 019 GERM B 019 FREN B 019 RUSS B 019	<b>3</b>	35	40				<b>3</b>					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013

5.	საოფისე პროგრამები	COMP B 125	3	65	85		3								წინაპირობის გარეშე
6.	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	POLS B 101	6	65	85	6									წინაპირობის გარეშე
7.	ფსიქოლოგიის შესავალი	PSYC B 101	6	65	85	6									წინაპირობის გარეშე
8.	სოციოლოგიის შესავალი	SOCI B 101	6	65	85	6									წინაპირობის გარეშე
9.	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	INRL B 101	3	35	40	3									წინაპირობის გარეშე
10.	აკადემიური წერა	ACAD B 101	3	35	40	3									წინაპირობის გარეშე

**ძირითადი (Major) სპეციალობის კურსები - 120 კრედიტი**

**სავალდებულო კურსები - 84 კრედიტი**

1.	დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით	INRL B 102	6	65	85		6								INRL B 101
2.	საქართველოს სახელმწიფოს ისტორია უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით	INRL B 103	6	65	85		6								წინაპირობის გარეშე
3.	საქართველოს სახელმწიფოს ისტორია XIX-XX-XXI სს-ში	INRL B 104	6	65	85			6							წინაპირობის გარეშე
4.	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	SOCI B 105	3	35	40						3				SOCI B 101
5.	საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები	INRL B 106	6	65	85		6								INRL B 101
6.	საერთაშორისო სისტემები	INRL B 107	6	65	85			6							INRL B 101
7.	საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში	INRL B 108	6	65	85					6					INRL B 101
8.	საერთაშორისო ურთიერთობები უახლეს დროში	INRL B 109	6	65	85						6				INRL B 101
9.	საერთაშორისო ორგანიზაციები	INRL B 110	6	65	85				6						INRL B 101
10.	მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკა	INRL B 111	6	65	85					6					წინაპირობის გარეშე
11.	საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია და პრაქტიკა	INRL B 112	3	35	40							3			INRL B 101
12.	საერთაშორისო სამართალი	LAW B 113	6	65	85							6			წინაპირობის გარეშე
13.	გეოპოლიტიკა	INRL B 114	6	65	85							6			INRL B 101
14.	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	INRL B 115	6	65	85								6		INRL B 101
15.	საბაკალავრო ნაშრომი	INRL B 130	6	35	115									6	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები

**ძირითადი სპეციალობის (Major) არჩევითი კურსები - 36 კრედიტი**

*(სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)*

3

9

6

3

6

3

6



## 10. დამატებითი (Minor) პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები

- დამატებითი (Minor) პროგრამის დასახელება - საერთაშორისო ურთიერთობები
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 60 (ECTS) კრედიტს, ხანგრძლივობა 5 (IV-VIII) სემესტრი, სემესტრში 12 კრედიტი

- სწავლების ენა - ქართული

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით (Minor) პროგრამას.

- პროგრამის მიზანი

ჩვენს ქვეყანაში შრომის ბაზარზე საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ არსებული ცოდნისადმი დიდი მოთხოვნილება არის. საერთაშორისო ურთიერთობების დამატებითი პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი ცნებების, ძირითადი მიმართულებებისა და მახასიათებლების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესწავლაზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებში. პროგრამა აძლევს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ იმ მინიმალურ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელიც მათთვის აუცილებელია ამ სფეროში საქმიანობისათვის. ასევე სტუდენტებს ეძლევათ კარიერული შესაძლებლობების გაფართოების და შემდგომში კვალიფიკაციის შეცვლის საშუალება.



- **სწავლის შედეგი**

- **ცოდნა გაცნობიერება** - აქვს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, აქვს ცოდნა დარგის საერთო სტრუქტურისა და ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირის, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგის მთავარი პრინციპების, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და კონცეფციების, დარგში დანერგილი სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე სათანადო ეთიკური ნორმების შესახებ.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი სხვა გამორჩეული მეთოდის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია პოლიტიკური ტექსტის ინფორმაციის სახით მიწოდება.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი დისკუსიების, გუნდური ვორკშოპების, არგუმენტირებული ესსეს, ასევე საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში.
- **სწავლის უნარი** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებების დადგენა.
- **ღირებულებები** - შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.



3.	პოლიტიკური იდეოლოგიები	POLS B009	<b>3</b>	35	40									POLS B 101				
4.	საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები	INRL B117	<b>3</b>	35	40									INRL B 101				
5.	დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	INRL B 119	<b>3</b>	35	40									INRL B 106				
6.	პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორია	INRL B 120	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
7.	საეკლესიო გლობალიზაცია	INRL B 121	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
8.	გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	INRL B 122	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
9.	სოციოლოგიური კვლევის მეთოდები	INRL B 123	<b>3</b>	35	40									SOCI B 101				
10.	სეპარატიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში	INRL B 124	<b>3</b>	35	40													
11.	ევროკავშირის ისტორია	INRL B 125	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
12.	მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია	INRL B 126	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
13.	საკონსულო სამსახურის საფუძვლები	INRL B127	<b>3</b>	35	40									წინაპირობის გარშე				
14.	დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები	INRL B129	<b>6</b>	65	85									INRL B 101				
<b>სულ - 60 კრედიტი</b>													<b>12</b>	<b>12</b>	<b>12</b>	<b>12</b>	<b>12</b>	